განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

ცივ-გომბორის აღკვეთილი მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობებზე, ქ. საგარეჯოს და სოფ. გიორგიწმინდის ჩრდილოეთით საზაფხულო აგარაკებამდე (კოდა, ცივი) და ცივ-გომგორის ქედის ჩრდილოეთი ექსპოზიციის მდინარე კისისხევის ტყის ფონდის ტერიტორიაზე თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მოსაზღვრეთ. აღნიშნული ტერიტორია მარიამჯვრის ნაკრძალს ესაზღვრება დასავლეთის, ჩრდილო და ჩრდილო აღმოსავლეთის მხრიდან. ეს ტერიტორია წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ბიოგეოგრაფიულ ერთეულს რომელიც შედის ზურმუხტის ეკოლოგიურ ქსელში, სადაც წარმოდგენილია სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიებისაგან, რომლებსაც ესაჭიროება გრძელვადიანი გარანტირებული დაცვა. აღნიშნული ტერიტორიის ცივ გომბორის კალთები გამოირჩევა ლანდშაფტური მრავალფეროვნებითა და შესანიშნავი ვიზუალური არეალით, საიდანაც ჩანს, როგორც იორის ასევე ალაზნის დაბლობის პანორამული ხედები. აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია როგორც ფოთლოვანი ასევე ფოთლოვანთან შერეული ფიჭვის, ღვიისა და უთხოვრით წარმოდგენილი წიწვოვანი ხეები, ხეთა ჯგუფები და კორომები. რომელთა დაცვასა და აღდგენას მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებაში. გასაფართოვებელი ტერიტორიის მცენარეული საფარის ტყის ეკოსისტემები ხასიათდებიან მეტად საინტერესო ფიტოცენოლოგიური მრავალფეროვნებით, რადგან მათ ტიპოლოგიურ სპექტრში წარმოდგენილია რეგიონის მცენარეულობის ისეთი იშვიათი წარმომადგენლები (ასოციაცია, ტყის ტიპი), როგორიცაა: მუხნარი სუროს საფარით, რცხილნარ-მუხნარი უთხოვრის ქვეტყით, ფიჭვნარი ტყეები. ამ ჰაბიტატებიდან პირველი ორი მესამეულ-რელიქტური წარმოშობისაა და გომბორის ქედის ჩრდილო - აღმოსავლურ ფერდობთან შედარებით კონტინენტური ჰავის პირობებში მათი, როგორც ძველი მესამეული პერიოდის ჰირკანული მცენარეულობის ნაშთის არსებობა ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

რეკრიაციული თვალსაზრისით ლანდშაფტურ-კლიმატური თავისებურებებით საპროექტო ტერიტორია ოდითგანვე იპყრობდა ხალხის ყურადღებას და გარე კახეთის მკვიდრი მოსახლეობა ამ ადგილებს დღესაც საზაფხულო აგარაკად იყენებს, რაც უმთავრესად ამ ტერიტორიის ტყეების და განსაკუთრებით მთის ფიჭვნარების დამსახურებაა. მაღალი რეკრეაციული ღირებულებებით გამოირჩევა გასაფართოვებელ ტერიტორიაზე არსებულ ცივ-

გომბორის კალთების სამხრეთ ექსპოზიციზე მუხის, ფიჭვისა და ღვიის ხეებით წარმოდგენილი ტყეები რომლებსაც წელიწადის ნებისმიერ დროს ზამთარში და ზაფხულში გააჩნიათ თვითმყოფადი მიკროკლიმატი გაჯერებული უარყოფითი იონებით და ფიტოციდებით სადაც არის იდეალური გარემო ვიზიტორების ჯანსაღი დასვენებისა და ჯამრთელობის აღდგენისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ადგილი კლიმატური მნიშვნელობის პულმონოლოგიურ (ფილტვებისა და ასთმის სამკურნალო), კარდეოლოგიურ, ნევროლოგიურ და პროფილაქტიკური მნიშვნელობის საკურორტო ტერიტორიაში შედის. შესაბამისად ახალი დაცული ტერიტორიის შექმნა ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნული ბიომრავალფეროვნების დაცვას და შენარჩუნებას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ცივ-გომბორის აღკვეთილისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ისეთი მერქნიანი სახეობები როგორიც არის მაღალმთისა და ჭალის მუხა და უთხოვარი. საქართველოს წითელი ნუსხის ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია მურა დათვი და იშვიათად გვხვდება კეთილშობილი ირემი. ამასთანავე აღნიშნული ფართობებს აქვს საკვანძო მდებარეობა, სადაც მოხვედრილ ტურისტს ეძლევა შესაძლებლობა მოხვდეს სოფ. თეთრ წყლებში, შუამთაში, თელავში, წინანდალში და უძველეს ისტორიულ ქალაქ ჭერემთან; - „ბებერი კლდის“ მიდამოებში წარმოდგენილია ხელუხლებელი მუხნარი უთხოვრის ქვეტყით, რომლის ანალოგი არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არ მოიპოვება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, ცივ-გომბორის აღკვეთილის სტატუსის მიენიჭება 4935,8 ჰა მიენიჭება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული აღკვეთილის სტატუსი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 2 მუხლისგან. პირველი მუხლით განისაზღვრულია მარიამჯვრის დაცული ტერიტორიების (მოიცავს უკვე არსებულ მარიამჯვრის სახელმწიოფ ნაკრძალს, ასევე ახლადშექმნილ ცივ-გომბორის აღკვეთილს) ფართობი და საზღვრები. კანონპროექტის მე-2 მუხლით დადგენილია კანონის ძალაში შესვლის თარიღი (2021 წლის პირველი იანვარი).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტის აღსრულებისათვის გათვალისწინებული მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციისათვის დამატებით 5 საშტატო ერთეულის დამატება და დამატებით ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხა შეადგენს **55 200** ლარს, კანონპროექტი ძალაში შედის 2021 წლის საბიუჯეტო წლის დაწყებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი).

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ოდენობამ უნდა შეადგინოს **55 200** ლარი, ამასთანავე დაცული ტერიტორიების სააგენტო ყოველწლიურად დახარჯვას 5 000 ლარამდე შესაბამისად 2022-2024 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველ საბიუჯეტო წელს გამოსაყოფი იქნება **55 200 ლარი.**

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან დამატებით დასაქმებულ პირების მიერ გადახდილი იქნება საშემოსავლო გასასახადი 11 040 ლარის ოდენობით. რაც შეეხება მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს აღნიშნულ კანონპროექტს გავლენა არ ექნება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას **55 200** ლარი, რომელიც საჭირო იქნება მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში დამატებით 1 უბნის უფროსი რეინჯერის და 4 რეინჯერის ასაყვანად, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია სამართვად გადაეცემა უკვე არსებულ მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრციას (ცხ. №1), რაც შეეხება სხვა საქონელი და მომსახურებაში გასაწევ ხარჯს, მას დამატებით გაიღებს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო საკუთარი შემოსავლებიდან 5 000 ლარის ფარგლებში.

ცხრილი 1

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია

№	დასახელება	რაოდენობა	წლის ფონდი (ლარი)
1	შრომის ანაზღაურება: • უბნის უფროსი რეინჯერი • რეინჯერი	 1 4	 12 000 43 200
	სახელფასო ფონდი	**5**	**55 200**

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტი იქონიებს გავლენას იმ 5 პირის მიმართ (1 უბნის უფროსი რეინჯერი და 4 რეინჯერი), რომლებიც დასაქმდებიან მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში ამ კანონით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის მიზნით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩართული არ ყოფილან სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტი წევრები: ნინო წილოსანი, სულხან მახათაძე, კახაბერ კუჭავა, დავით სონღულაშვილი, რომან მუჩიაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტი წევრები: ნინო წილოსანი, სულხან მახათაძე, კახაბერ კუჭავა, დავით სონღულაშვილი, რომან მუჩიაშვილი.